№ 29. 8 თებერვალი, კვირა. 1866—1881 8 თებერვალი, კვირა. № 29.

# დროება

რედაქცია

გალავნის პროსპექტზე თ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოთ.

ხელის-მოწერა

მიიღება თფილისში „დროება“-„ივერიის“ რედაქციაში, ქუთაისში: „დროება-ივერიის“ აგენტთან ი. ჭყონიასთან ხილაზე. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. въ редакцію „Дроэба“-„Иверія“.

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს. | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“ და „ივერია“ ერთად | 14 მან. | 8 მ. | 5 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მ. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 7 მან. | 4 მ. | 2 მ. |

ფასი განცხადებისა

დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., მეორე ... ასოზე ... სტრიქონი ... წვრილ ასოებით ... ასოზე ნახევარი კაპ., ... ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ ხელნაწერს მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადებანი მიიღება ქართულს, რუსულს და სხვ ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება „დროება“-„ივერიის“ აგენტთან.

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ.

არწრუნის თეატრში

კვირას, 8 თებერვალს

ქართულ ტრუპპისაგან წარმოიდგინება

I

პარიჟელი კინტო.

კომედია ორს მოქმედებად.

II

ბ უ ტ ი ა ო ბ ა

ვოდევილი 1 მოქ. აკ. წერეთლისა.

III

დ ი ვ ე რ ტ ი ს მ ე ნ ტ ი

სხვათა შორის ა. ღორთქიფანიძე წაიკითხავს იმერულ და გურულ სცენებს.

ბილეთები ისყიდება არწრუნის თეატრის კასსაში.

დასაწყისი 8 საათზე.

ქ უ თ ა ი ს შ ი

ახლად გაიღო სასტუმრო

ბელ-ვიუ

ხვინოვის სახლში, შუა-ქალაქის, საადგილ-მამულო ბანკის გვერდით, ქალაქის გამგეობის, ბაზრისა და ბულვარის ახლო. ნომრები ხინებულად მოწყობილია ღირს თითო 75 კ.—და 2 მან. 50 კ.—მდე. სასტუმროსთან არის ხინებული რესტორანი, ევროპიული დვინოები პეტერბურღის საუკეთესო ფირმებისა და კარგი ბილლიარდი. ფასები ძალიან ხელ-მისაწვდომია. სადილი თვეობით: 2 თავი 10 მან; 3 14 მან; 4 თავი 18 მან. ყოველ-დღიური სადილი ათ შაურიდამ ორ მანეთამდე. არის ცალკე კაბინეტები მანდილოსნებისათვის. (3—2)

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

პეტერბურღი, 6 თებერვალს. გაზ. „გერალდში“ იწერებიან, რომ იმ სადგომის პატრონი, ვისთანაც დაიჭირეს საიდუმლო პოლიციის აგენტა, ყოფილა ერთი მკვლელთაგანი დენ. მეზენცოვისა.

სტამბოლი, 5 თებერვ. ბეირუტში მაჰმადიანებსა და მმართლ-მადიდებლებს შუა ჩხუბი მოხდა და ამ ჩხუბის დროს სამი ქალია მოკლული, ერთი მაჰმადიანი და ორი ქრისტიანი; ათი კაციც დაჭრილია.

პეტერბურღის ბირჟა, 6 თებერვალს.

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი“)

| ბანკის ბილეთები: | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი გამოცემისა— — | 95 | 37 |
| მეორესი— — — — — | 93 | 25 |
| მესამესი — — — — | 93 | 50 |
| მეოთხესი — — — — | 93 | 25 |
| აღმოსავლეთის პირვ.— — | 92 | 75 |
| აღმოსავლეთის მეორე — | 93 | „ |
| აღმოსავლეთის მესამე — | 93 | „ |
| ოქრო, $^1/_2$ იმპერიალი— — | 7 | 73 |
| თფილისის საადგ.-მამ. ბანკის გირაოს ფურცელი — — | „ | „ |

შინაგანის 5% სესხი ბილეთები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| პირველი სესხის — — | 224 | 25 |
| მეორე სესხის — — — | 223 | „ |

1 მანეთი ღირს:

| | | | |
|---|---|---|---|
| ლონდონი — — | 25 | 31 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 215 | 50 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 267 | 25 | სანტიმი |
| ვენა — — — | 129 | 50 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — — — | | | |

## ქალაქის ხაზინის რევიზია

ტფილისი, 6 თებერვალს.

როდესაც ჩვენი ქალაქის რჩევის ხმოსანმა ნ. დ. ზუბალოვმა გაელილ 26 იანვარს შეიტანა რჩევაში წინადადება, რომ ქალაქის კასსას უეცარი რევიზია უყონ, ეს ამბავი ბევრს როგორღაც ეჭაშნიკა, ზევრმა ზამგეობის შეურაცხყოფად, დამცირებად და მტრობად ჩასთვალეს ამ გვარი წინადადება.

უველაზე გასაკვირველი ის იყო, რომ, არა თუ გარეშე პირნი, თვით რჩევაში გამოჩნდნენ ისეთი პირნი, რომელთაც გაბრაზებით გამოაცხადეს, რომ ბ. ზუბალოვის წინადადება უკანონო არისო, კანონით სამის დღით წინეთ უნდა იყოს ყოველი წინადადება წარდგენილიო, უეცარი რევიზია როგორ იქნებაო და სხვ. და ყოველის ღონის-ძიებით ცდილობდნენ, რომ ზუბალოვის წინადადება არ მიეღო რჩევას.

ამ გვარი მოქმედება ზამგეობის მომხრეებისა აფიქრებინებდა კაცს, რომ ალბად ცუდათ უნდა იყოს იმათი საქმე, ალბად რამე ცოდვები უნდა იყოს ქალაქის ხაზინაში, თუ თქვენ ხელს აფარებთ ამ ხაზინას და არ გინდათ, რომ ვინმემ თვალი გადაავლოს და გაიცნოს ის.

მაგრამ ზამგეობის წარმომადგენელმა ქალაქის თავმა იხმარა ტაქტი და თვითონვე მოითხოვა, რომ რჩევამ მიიღოს ბ. ზუბალოვის წინადადება და შეამოწმონ ქალაქის ხაზინა; კანონიერია ეს რევიზია, თუ არა, ამაზე მერე მოვილაპარაკოთო, ახლა კი გთხოვთ კამისია ამოარჩიეთ და რევიზია უყავით ჩვენდამი რწმუნებულ ხაზინასაო.

ამის შემდეგ ბ. ზუბალოვის წინადადების მოწინააღმდეგენი დაჩუმდნენ და რჩევა თითქმის ერთხმად დათანახმდა უეცარ რევიზიის მოხდენაზე. თქვენ წარმოიდგინეთ—რა იქნებოდა, რას იფიქრებდა მთელი ქვეყანა, რომ ქალაქის თავი არ გარეულიყო ამ საქმეში და რჩევას მართლა უარი ეთქვა რევიზიაზე? როგორც ზევით მოგახსენეთ, ყველას სრული უფლება ექმნებოდა ეფიქრნა მაშინ, რომ ალბად საქმე ცუდათ არის, თუ თქვენ ჰმალავთ ხაზინას, თუ არ გინდათ რევიზია, თუ თქვენ სინათლისა და გამოაშკარების გეშინიათ. და რადგან უიმისოთაც ხეირიანი ხმები არ ისმის ქალაქში ჩვენ თვით-მმართველობაზე, მაშინ ხომ ამ უსაფუძლო ხმებს უფრო მომეტებული საფუძველი ექნებოდა გავრცელებულიყო და გაზვიადებულიყო.

რევიზიის მოხდენა კი ორივე შემთხვევაში კარგი იქნებოდა: თუ გაწყრებოდა, ღმერთი და ზამგეობის ბოროტ-მოქმედება აღმოჩნდებოდა, თუ აღმოჩნდებოდა, რომ ზამგეობა ბოროტად ეპყრობა ქალაქის ხაზინას, მაშინ რჩევას შეეძლო დროზე მიესწრო, შეეჩერებინა ეს ბოროტ-მოქმედება და ამ ნაირად დაეცვა ქალაქის ინტერესი; და თუ რევიზია აღმოაჩენდა, რომ ზამგეობა კეთილად და სინდისიანად ხმარობს რჩევის ნდობას, თუ ქალაქის ხაზინა-

„დროების“ ფელეტონი, 8 თებერვალს

## ცხელ-ცხელი ამბები

იმერეთიდამ მივიღეთ კორრესპონდენციები რომლითაც შემდეგ კითხვებზედ პასუხსა გვთხოვენ:

„1) ამ რამოდენიმე წლის წინათ ერთს სასამართლოში სახელმწიფო ფულები იყო გაფანტული და კიდეც მისცეს სამართალში სეკრეტარი პატარიძე. ამაზედ დიდი განგაში იყო, როგორც ხალხში ისე გაზეთებშიდაც. დაიწყეს გამოძიება და გადასცეს პროკურორს, მაგრამ საქმის განხილვას კი ველარავინ მოესწრო, თუმც მრავალმა წელიწადმა კი გაირბინა მაშინ, როდესაც მაგგვარევე საქმეებს, სხვა შემთხვევებში, თვალის დახამხამებამდე ათავებენ ხოლმე.

„ვფიქრობთ და ვერ მიმხვდარვართ. გვიბძანეთ: რა მიზეზი უნდა იყოს, რომ ბატონი პატარიძის საქმე დიდძილს მისცეს?“

პასუხი: ჩვენის აზრით, ეგ საქმე მარტო პატარიძის რომ იყოს პატარა დროს მოამდომებდა; მაგრამ დიდის ხნით მიტომ მიაყრუეს, რომ მაგ საქმეში, თურმე, უფრო დიდიძეა გარეული, რომელმაც კარგათ იცის შემდეგი არაკი:

— ერთი კაცი უჩიოდა მეორეს ყადთან: თხა მომპარაო და დასამტკიცებელი საბუთიც წარადგინა. მოპასუხისაგან მომადლიერებულმა ყადმა, გამართლება რომ ველარ მოუხერხა მტყუან მოპასუხეს, საქმე გადასდვა: მანამ არ განვიხილავ, სანამ, ან თხა არ მოკვდება და ან თხის პატრონიო.“

—

„2) ერთი ღარიბი და საწყალი აზნაური ედავებოდა თავის ძმას: კიდევ მერგება შენგან ადგილებიო; მაგრამ გამარჯვებული ძმა კი ყოველთვის და ყოველგან ეფიცებოდა, რომ შენ ჩემგან მხოლოდ შავი ქვა გერგება და კიდეც მოგცემ შავ ქვასაო. რამდენიმე წლის შემდეგ მართლა შავი-ქვა (მარგანეცი) რომ გამოაჩინეს ჩვენში, ეს მადანი ამ უფროსი ძმის მამულშიდაც ამოჩნდა. მაშინ უმცროსმა ძმამ საჩივარი გააცხადა უფროსზედ, რომ ეს შავი-ქვა ჩემია და მე უნდა მომცეს ჩემმა ძმამაო, ამაში თვითონ არის გამოტეხილიო. შედგა საქმე, დანიშნეს მოწმები, საქმე მოიგო უმცროსმა და კიდევაც ჩაიბარა. — ახლა უნდა როგორმე ისარგებლოს და არ იცის კი როგორ. მუშტრები ბევრი ჰყავს, მაგრამ ნდობა უჭირს და თქვენა ჰკითხავთ შემდეგ რჩევებს:

ა) გამოვა რამე ამ საქმიდამ თუ არა?

— ჯერ კი შფოთის, დავიდარაბის, უსიამოვნების და გაიძვერაობის მეტი არაფერი გამოსულა; მაგრამ საბოლოოთ კი იმედია, თუ, რომ ჩვეულებრივად მეპატრონეები ერთი მეორის ხელის შეშლას არ ეცდებიან.

ბ) მუშტრები ბევრი გვყავს: როგორც უცხო ქვეყნელები, ისე ჩვენებურებიო. მათ რიცხვში მუხრან-ბატონიც. და ვის მივენდოთ?

— ჯერ მე თვითონ ჰკითხავთ: ვინ მოგენდოსთ? და მერე ანდაზასაც მოგაგონებთ: „შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო“. თვარა იცით, ვინ არიან ეგ გარეულები, საიდამ და რა ხალხი? მამას იცნობდით მაგათსას, თუ პაპას? მუხრან-ბატონებს ძველათ მთელი ჩვენი ქვეყანა ენდობოდა ხოლმე და ახლა რა მოხდა მისთანა, რომ შავ-ქვაზედაც დაფიქრებულხართ და არჩევანში შედიხართ? ნუ გენანებათ შავი-ქვა ჩვენებურები-

ში ყველაფერი თავის რიგზე და წესზე აღმოჩნდებოდა, მაშინ უკეთესი: ყველა შეიტყობოდა და დარწმუნდებოდა, რომ ის ხმები, რომელიც გავრცელებულია ქალაქში, უსაფუძლო ხმები არიან, რომ ქალაქის ხაზინას გარვი მომვლელები ჰყავს და სხვა.

ეს უბრალო ჭეშმარიტება ვერ გაეგოთ გამგეობის ერთობ-ერთგულ მომხრეებსა და ვითომ—ქალაქის ინტერესების დამცველთა.

ახლა ორიოდე სიტყვა იმაზედაც —თუ რა აღმოაჩინა რევიზიამ.

უველაზე პირველად სიამოვნებით უნდა აღვიაროთ, რომ არავითარი ბოროტ-მოქმედება ქალაქის ხაზინაში არ აღმოჩნდა, არც გამგეობისა და არც ხაზინადრის მხრით. დამტკიცდა მხოლოთ, რომ ზოგიერთი უწესოება, დაუდევრობა და, რუსები რო იტყვიან, „ხალატნოე უტნოშენიე“-ო, ის. ქალაქის მეიჯარადრებს იმათ მუშაობის შეუმოწმებლად აძლევდნენ ფულს და ზოგიერთებს ამაში ხელწერილსაც არართმევდნენ; გამგეობაში მოსამსახურე პირებს ზოგს ერთის თვით, ზოგს ორი, სამი და ოთხი თვით წინეთ აქვსთ ჯამაგირები მიღებული; ხაზინაში არ აღმოჩნდა მხოლოთ ორას-და-რაღაც მანეთი; გავლილ ნოემბერს აქეთ გამგეობას ქალაქის ხაზინისთვის რევიზია არ უქნია.

აი სულ ეს არის რევიზიის შედეგი. მართალია, მამგეობა და ხაზინადარი ამისთვის ქების ღირსნი არ არიან, მაგრამ არავითარი ბოროტმოქმედება აქ არ იხატება იმათი. და შემდეგში უეჭველია, აღარც ამისთანა საქმეს ჩაიდენენ, რადგან ახლა ეს მხოლოთ შეცდომად და დაუდევრობად ჩაითვლება და შემდეგში კი შეიძლება ბოროტ-მოქმედებათაც გარდაიქცეს.

ამნაირად რევიზიამ დაგვანახვა შემდეგი:

საჭიროა, რომ ქალაქის გამგეობაში მოსამსახურე პირების ჯამაგირის შესახებ დაიდგინოს წესი, რომ იმათ წინ-და-წინ ორი-სამი და ოთხი თვის ჯამაგირები არ ეძლეოდეს (ამის თაობაზე გამგეობა წინადადებას შეიტანს რჩევაში).

საჭიროა, რომ ხაზინადარს უფრო მომეტებული ყურადღება ჰქონდეს მიქცეული; თვეში ერთხელ მაინც უნდა უქნას გამგეობამ ქალაქის ხაზინას რევიზია;

საჭიროა, რომ მეიჯარადრებს ქალაქის ტეხნიკებით ბარათით ანუ მოწმობით მოეცესთ ხოლმე ფული.

საჭიროა, რომ ხაზინადარს ნამდვილი, ფულათ პასუხის-მგებელი თავდები ჰყავდეს და სხვ.

ეს საჭიროება გვიჩვენა ჩვენ რევიზიამ და ამის შემდეგ, როგორ კმაყოფილი არ უნდა ვიყვნეთ და როგორ არ უნდა ვინატროთ ამგვარი რევიზიები რაც შეიძლება უფრო ხშირად მოეხდინოს ქალაქის რჩევას. ეს რჩევა პასუხის-მგებელია თავის ამომრჩეველების, მთელი ქალაქის წინაშე, და არავისთვის საწყენად არ უნდა დარჩეს, თუ იმან თავის მხრით მოსთხოვა ანგარიში იმას (ე. ი. გამგეობას), რომელიც იმის წინაშე არის პასუხის-მგებელი.

## ახალი ამბები

—

ჩვენს გაზეთში იყო მოხსენებული რომ ამას წინათ ნავთლუღის მინდორში ნახეს ერთი ახალგაზდა ქალი რომელიც, როგორც ექიმმა შეამოწმა, ნავთით იყო დამწვარი. ახლა გვატყობინებენ, რომ გამომძიებელს მიუგნია ამ საშინელ ბოროტ-მოქმედების კვალისათვის და ამ საქმის თაობაზედ ორი დედა-კაცი და ერთიც კაცი არიან დაჭერილნიო.

* * *

ჯალალ-ოღლიდამ გვატყობინებენ, რომ იქაურ პოლკის ორ აფიცერს სოკოლოვსკისა და ავალიშვილს რაღაც საქმის თაობაზე უკმაყოფილება მოსვლიათ. პირველს ამათგანს შემოურტყამს მეორისთვის და მეორეს კი, მოთმინებიდამ გამოსულს, ხმალი ამოუღია და სასიკვდილოთ დაუჭრია სოკოლოვსკი. ეს ამბავი მომხდარა იმ პოლკში, რომლის უფროსად თ. კორსაკოვია და ჩხუბიც, როგორც ამბობენ, ამ კაცის თაობაზედ ამტყდარა.

* * *

ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი პროტოკოლი ფოთის ნავოსნობის საზოგადოების სხდომისა, რომელიც ყოფილა გავლილ 31 იანვარს.

„სხდომა ყრილობისა მოხდა საღამოს 8 საათზედ შეერთებულ სადგომში განყოფილებისა და მიხაილის ნავოსნობის კლასისა, თავ-მჯდომარეობით ს. ხ. ლაზარევიჩისა და თანადასწრებით შემდეგ წევრთა: ანდრუცკოსი, ბაბალოვისა, ციმბილიუკოსი, გუგუშვილის, გამბაროვისა გ. გ. ლოლაბერიძისა, ხუმარაძისა, გ. ბეს. ლოლაბერიძისა, მენდელისა ლეხნიცკისა, ფევოდოროვისა, მაჭარავასი და სხვ.

„თავმჯდომარის, მოკლე წინასიტყვაობის შემდეგ, რომელიც წარმოითქვა იმ მიზნით, რომ გაეცნო ახალი წევრები განყოფილებასა და მის მოქმედების დაარსებიდამ — 1874 წ.,—წევრმა — საქმის—მწარმოებელმა თ. ლეხნიცკიმ წაიკითხა საზოგადო მიმოხილვა იმ სავნებისა, რომლებიც ირჩეოდნენ გასულ 1880 წ. და ყველა, რაც კი შეუსრულებიათ ამ სავნებიდამ.

„წაკითხვის შემდეგ წარმოდგენილ იქმნა კენჭის-საყრელად სია 15 პირისა, რომელთაც ესურვებინათ განყოფილების წევრობა. ამითგან, ერთის გარდა, ყველანი ამოურჩეულ იქმნენ.

„ამის შემდეგ დაიწყო ამორჩევა სამი მმართველობის წევრის და ერთის კანდიდატისა. ამორჩეულ იქმნენ: ი. გ. ანცოვი, ა. ს. ანდრუცკი. ხ. დ. ფეოდოროვი—მართველობის წევრებათ და ამათ კანდიდატათ—ს. გ. გამბაროვი.

„შემდეგ ყრილობამ მისცა უფლება მმართველობას [illegible] სათავნო ფულის შე[illegible] (пайщикъ) და მათის დახმარებით განარჩიოს ფოთის ნაოსნობის ამხანაგობის პროექტის წესდება და ამის შესრულების შემდეგ ეს პროექტი წარუდგინოს საზოგადო ყრილობას მმართებლობისადმი წასადგენათ და დასამტკიცებლათ. ამასთანავე გარდასწყდა, რომ ერთი პირი ამ პროექტისა გარდაეცეს გადასახედავათ ახალ წევრს გ. ბეს. ლოლაბერიძეს და ეთხოვოს მას, რომ მან გაავრცელოს ცნობები ამ საქმის შესახებ ქ. ქუთაისში, რაზედაც გ. ლოლაბერიძე დათანახმდა.

„განიხილეს წასრული წლის შემოსავალ-გასავლის ანგარიში და დაიდგინეს ანგარიში ამ წლისა. ანგარიშის წაკითხვის შემდეგ ყრილობამ საჭიროდ დაინახა, იმ სამი გაზეთის გამოწერის გარდა, რომელიც გარდაწყვეტილ იქმნა 30 დეკემბრის სხდომაზედ, გამოიწერონ კიდევ გაზეთი „დროება“ და „ნიკოლაევსკის უწყება.“ და ამასთანავე გარდაწყვიტეს, რომ ყველა წევრებს, თანამგრძნობთ *) და ნაოსნობის სასწავლებლის შეგირდებს შეეძლოთ ამ გაზეთებით სარგებლობა. სასწავლებლის დახმარებაზედ უნდა შეუერთდენ კომიტეტს, რომელიც ჰმართავს ნაოსნობის სასწავლებელს და იმ ას მანეთს, რომელიც შემოსწირა კომიტეტს ი. გ. ჰასან ჯალალოვმა, ღარიბ—მოსწავლეთ სასარგებლოთ დაუმატონ 50 მან. მმართველობის სუმმიდამ და ამ ფულით შეიძინონ ერთი ოთახი ათი ტახტის დასატევი, შეუძლებელ მოსწავლეთათვის.—

„ბოლოს ყრილობას გამოეცხადა თხოვნა გ. ანაპის პოლიციმეის-

*) ნამდვილ წევრს შემოაქვს განყოფილების კასაში ერთი თუმანი. თანაგრძნობლებათ ჩაითვლებიან ისინიც, რომლებიც ამაზედ ნაკლებს შემოიტანენ.

სათვის და განსაკუთრებით მუხრანბატონისათვის.

„3) ამ დღეებში ერთი საკვირველი საარაკო ამბავი მოხდა:

„ერთმა უბრალო კაცმა მოიტაცა გამოჩენილი თავადის ქალი და შეირთო ცოლათ. თავადები თავ-გამოდებული არიან და ამბობენ საქმე ადვილათ არ გათავდებაო და ნეტავი რას უზმენ?“

— ვის? ეგ რა საკითხავია?.. მოიგონეთ რუსთველის ლექსი: „შეყრა არის პირმანი, ორთავეა რადგან ნებაო!“

და ზედაც მდაბიური ანდაზა დასძინეთ:

„ვისი ტყე, ვისი მინდორი, ვისი რა საკითხავია?“

რა საზოგადო ინტერესი აქვს ამ ამბავს, რომ გვეკითხებით?.. ან საარაკოს რასა ჰხედავთ? აქ უარესიც მოხდა: გამოჩენილმა გვარის ქალმა, თვითონ მოიტაცა უბრალო ვინმე, მაგრამ არავის გაკვირვებია!!.

„4) ჩემი გამოგზავნილი სტატია ხოპერიას (ხაპიორის?) პოლკის საქმის შესახებ რატომ არ დაბეჭდეთ?..“

— რადგანაც იქ იმდენი საინტერესო და საკვირველი რამ იყო ნათქვამი რომ განსხვავებულათ მივიღეთ, ამისათვის ჩვენც განსხვავებულათ ოცდა-ათს თებერვალს დავბეჭდავთ და მოგართმევთ. მანამდინ კი მოთმინებით ბრძანდებოდეთ. რატომ სახელსა და გვარს არ აწერთ მაგ თქვენს სტატიას? მაინც გიცანით და ნიორის ანდაზას მაგაგონებთ.

—

„5) დიდი სურვილი მაქვს, რათა მუდამი თანამშრომელი ვიყო თქვენის პატივცემული გაზეთის „დროებისა“, მაგრამ რადგანც უსასყიდლოთ მე ჩემ დღეში ფეხიც არ გადამიდგამს, ამისთვის გთხოვთ მაცნობოთ: რა მექნება ჯილდოთ მწერლობისა?

— ბოლოკი!.. ხან-და-ხან სტაფილოსაც მიიღებთ ხოლმე. და თუ მაინცა-და-მაინც არ დაჯერდებით ამაებს, მაშინ კი გირჩევთ, რომ ცოტა მოიცადოთ: ჩვენ გვინდა ამერიკულად ერთხელ დაუნიშნოთ პრემია იმას, ვინც უფრო უხეირო სტატიას დასწერს და მაშინ იმედია, თქვენ აღარ აგცილდებათ.

ადვოკატის ლ—ს შესახებ რასაც იწერებით, ახლა გვიანღა არის... თქვენ არ ბრძანდებოდით, რომ ცამდი აგყავდათ და ხმას არავის გვაღებინებდით მის საწინააღმდეგოთ? ახლა განა დრო შეიცვალა? „აპრუწვით არის მახარა, კალოზედ ბარგი დაჰყარაო!“ როგორ მოგწონსთ ეს შაირი?!.

—

„6) მისთანა თქვენს მტერს, მე დღე დამადგა: ჩემი საყვარელი სხვას დარჩა..: სხვამ მომტაცა... რაღა სიცოცხლეა ჩემი სიცოცხლე? მირჩიე, ჩემო მეგობარო, რა ვქნა: ცეცხლმოდებული, გადავარდე წყალში, თუ არა?“

— მართალია, ცეცხლს წყალი აქრობს, მაგრამ ეგ სხვა ცეცხლია და სხვა წყალიც ეჭირვება. მოიგონე რუსთველის სიტყვები:

„ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსაო!“

და ჩემის მხრითაც ამ ლექსით შეიყოლიე თავი, სანამ შენს მოქიშპესაც შენისთანა დღე არ დაადგეს:

ახალგაზდა მონადირეს
კარს მიადგა ერთხელ ბედი:
ბალიაში ჰკუა მცირეს
შეუფრინდა უცბათ მტრედი.

—

საწყალს ეგონა სიზმარი,
ან ხუმრობა და შეშინდა;
ვერ მიხურა დროზედ კარი...
მტრედი ისევ გამოფრინდა!

ტრისა, რომ გაუგზავნონ მას ცნობაანი განყოფილებაზედ, რომელიც უნდა დაარსდეს აგრეთვე ანაპაშიაც, რაზედაც ყრილობამ გარდასწყვიტა დაუყონებლივ გაუგზავნოს ეს ნათხოვნი ცნობა.

წაკითხულ იქნა ანგარიში ამხანაგობის ნავების მოქმედებაზედ, რომლიდამაც სჩანს, რომ წაგება გასულ წელს ერთი ნავის დაკარგვით შეადგენს 20%. ყრილობამ დაადგინა, მიენდოს ბ.ბ. ალკოვს, ბაბალოვს და ლაზარევიჩს შეადგინონ დაწვრილებითი ანგარიში და წარმოადგინონ მომავალ ყრილობაზედ, რომელიც უნდა მოხდეს არა-უგვიანეს თებერვლის შუა რიცხვებისა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

—

**ქუთაისი**, 4 თებერვალს. მთელი ქვეყანა რომ შემოიაროთ, იმისთანა კუთხეს მგონი ვერსად ვერ ნახავთ, სადაც ქუთაისზე მეტად უყვარდესთ თვალ-გასართობი „სანახავნი“. ამ სიყვარულის სიავ-კარგის განხილვას არ შევუდგები,—მე მხოლოდ ფაქტი მოვიხსენე.

ეს ძლიერი სიყვარული „სანახაობისადმი“ ანუ, როგორც ჩვენი წინაპარნი ამბობდნენ, „გამოჩვენებისადმი“, იყო ერთი უმთავრესთაგანი მიზეზი, რომ, დღეს ქუთაისის სცენაზე, ტრუპპას თუ არა, მოყვარულთ მაინც გვარიან მკვიდრადა აქვსთ ფეხი მოდგმული. მაგრამ, თუ მხედველობაში მივიღებთ ერთის მხრით იმ დიდს მნიშვნელობას და ზედ-მოქმედებას, რომელიც აქვს ჩვენში თეატრს და ბევრჯელ ყოფილა „დროებაში“ ნაჩვენები, და მეორეს მხრით იმ საიმედო ნიადაგს—მოქალაქეთ სიყვარულს სცენისადმი—რომელიც ქუთაისის თეატრს ჰქონდა, აქვს და უეჭველია, მომავალშიაც ექნება, მაშინ უნდა აღვიაროთ ჩვენი გულითადი წუხილი, რომ ქუთაისელები მოკლებულნი არიან ცოტაც არის რიგიანს ქართულ ტრუპპას და უნებლიეთ კმაყოფილდებიან სცენის მოყვარულთა სუსტს წარმოდგენებს.

როგორც ყოველი ჩვენი საზოგადო საქმე, ისე თეატრისაც თუ სათანადოდ არ არის მომართული და ვერ ასრულებს თავის მაღალს დანიშნულებას—ეს იმ პირთ ბრალია, რომელნიც ამ საქმეს თაოსნობდენ, და არა საზოგადოებისა. ყველაფერზე და ყველაზე შეუძლიათ ამ პატივცემულთ თაოსნებს უკმაყოფილების გამოცხადება, მხოლოდ საზოგადოებაზე კი ერთს ცუდს ვერაფერს იტყვიან. თავის შეძლებისა-და-გვარად იგი ეწევა თეატრს, ხალისით დადის ყოველს წარმოდგენაზე, თუმცა დღეს სამწუხაროდ, ერთობ ხშირად, „ესთეტიკური სიტკბოების“ მაგიერ, ბარბაროსულ უსიამოვნებას აწყდება, რამდენიმე კინალამ-აქტიორების და მრავალ ძალად-აქტიორების დომხალივით არეულ თამაშის წყალობით. ასე იყო წინედ და ასეც არის ახლაც

1873-დიმ ქუთაისში დაიწყეს სცენის მოყვარულებმა წარმოდგენების გამართვა, თითქმის ყოველთვის „სცენის სასარგებლოდ“. 78-ში ბატ. ა. ჭიჭინაძის მეცადინეობით სცენის მოყვარულნი უფრო მტკიცედ დაკავშირდნენ და შეადგინეს წრე, რომლის წევრნი უსასყიდლოდ შრომობდნენ და საიოდეს გარდა ყველა წარმოდგენები იმავ სცენის სასარგებლოდ გამართეს.

წასრულ წლამდი თითქმის განსაზღრულ დრ(ოი)თ გამოშვებით იმართებოდა წარმოდგენები და წასრულს წელს კი „წრე“ „ტრუპპად“ გადიქცა. წესდება ამ ტრუპპისა სრულის ხელოვნებით და ყოველი რიგის დაცვით იყო შედგენილი. თავდაპირველად მისი შეძლება იმ სამასიოდე მან. შესდგებოდა, რომელიც წინა წლებში „სცენის სასარგებლოდ“ გამართულ წარმოდგენებიდამ იყო შემოსრული.

დიდი არ იყო ეს შეძლება, მაგრამ საზოგადოება თავიდამვე იმისთანა ხალისით მიისწრაფოდა ნორჩი ტრუპპის წარმოდგენებზე დასასწრებლად, რომ ყოველნი ვიმედეულებდით სცენის საქმის დავირგვინებას, თეატრის დაარსებას.

მართლადაც, პირველი წარმოდგენები კაცმა რომ მართალი სთქვას, სწორედ გვარიანი იყო.

მაგრამ ექვსიოდე წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ყოველი სცენის ჩვეული ინტრიგა მოთამაშეთ შორის*), რომელმაც ბოლო მოუღო ნორჩს ტრუპპას, საბოლოვოდ თუ არა ხანგრძლივად მაინც. ვერ უშველა მას ვერც რეჟისსორის მეცადინეობამ და ვერც სათეატრო კომიტეტმა, რომელიც, სიტყვაზე ჩამოვარდა და უნდა მოვახსენოთ, პრტყელ-პრტყელი სიტყვების წარმოთქმისა და უნაყოფო ბაასის მეტს, არაფერს აკეთებდა.

ასე, ამ რიგად უდროვოდ მოელო ბოლო აქაურს ტრუპპას.

დღეს კი სამი თუ ოთხი მოთამაშე გამომდგარან და გაიძახიან „ტრუპპა არ დაშლილა, **ჩვენ** ვართ ტრუპპაო“ და მართვენ ხელად-თავ-მოყრილ პირების დახმარებით წარმოდგენებს და (დახე მათ კადნიერებას) ერთმანეთის ბენეფისსაც კი ახდენენ (და **ახდენენ**). რისთვის? რა დამსახურებისათვის? რა შესძინეთ თეატრს, რა ხანგრძლივი სიტკბოება უჩვენეთ საზოგადოებას, რომ დღეს ჯილდოს თხოულობთ იმისაგან?? თქვენ დალოცვილებო, რამდენიმე მაჩანჩალა-მოთამაშე მაინც აგეჩინათ ცოტა ხნით მაინც, თორემ საზოგადოებას ისე ბრიყვად რად სთვლით **სამს** მოთამაშეს ტრუპპას არქმევთ! არ იფიქროს მკითხველმა, რომ ქუთაისელებს ღირსეულ დაუჯილდოვებლად დაეტოვებინოს ისინი მარტო ერთი „ბენეფისის“ დროს იყო ნახევარი ზალა სავსე, თორემ დანარჩენი ორი თითქმის უ-მაყურებლოდ დარჩა... „რასაც დასთეს, იმას მომკიო“, ამას ჰქვიან ჩვენში.—

როცა გაწვრთნილი და კეთილ-განწყობილი მხედრობა არ არის, მის მაგიერობას შერებიან გაუწვრთნელი, თავ-ანთ სურვილით ამხედრებული მეომრები. ასე იყო ყოველგან, სადაც მხედრობა საჭირო ყოფილა, მაგრამ, სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, გაწვრთნილის წილ გაუწვრთნელს კმაყოფილდებოდნენ. სწორედ ასეა თეატრის საქმეც. სადაც იგი სამეტ-ნაკლო საჭიროებას შეადგენს, მაგრამ ტრუპპა ჯერ ვერ შემდგარა, იქ „სცენის მოყვარულთ“ რჩება ბურთი და მოედანი.

ამასვე ვხედავთ ქუთაისში: ტრუპპის დაშლის შემდეგ გახშირდა მოყვარულთა წარმოდგენები, რომელნიც სცენის ხელოვნების მხრით ერთობ სუსტნი არიან, მაგრამ შემოსავალი კი საკმაო აქვთ. ესეც ერთი საბუთი, რომ ჩვენში ხეირიანს ტრუპპას არსებობა შეუძლია. სამწუხარო ის არის მხოლოდ, რომ ეს წარმოდგენები სულ სხვა-და-სხვა „ღარიბების“ და „შეუძლებელთა“ სასარგებლოდ იძლევიან და სცენის ათას-ნაირ საჭიროებისთვის გროშიც არ ინახება. ჩვენის აზრით, სანამ საზოგადოების ესთეტიკური მოთხოვნილება არ დაკმაყოფილდება, ასე თუ ისე, მუდმივი ტრუპპის შედგენით, მანამ ყოველი წარმოდგენა უსარგებლოა, თუ სცენის წარმატებისათვის და სასარგებლოდ არ არის დანიშნული.

როგორც ყველაფერი ისე ქველმოქმედებაც შესაფერ დროზე უნდა, თორემ უდროვოდ, აქაურ ბ. პოლიციმეისტრის ცენზორობასავით უხამსი იქნება. ამ პატივცემულს მოხელეს ამას წინედ მოუტანეს სცენის მოყვარულებმა აფიში საკორრექტურო ფურცლები ნება-რთვის ხელმოსაწერად. აძლევდნენ სამ-მოქმედებიან კომედიას **„ფერი ფერს—მადლი ღმერთს“**. რუსულად გადმოითარგმნეთ კომედიის სათაურიო, ეთქვა მისს მაღალ-კეთილშობილებას, რო-

---

*) საკვირველია, რომ ვინც უფრო უნიჭონი იყვნენ, ისინი უფრო აჯახირებდნენ საქმეს და დიდგულობდნენ!

ავტ.

---

ცხადი იყო, მერე მიხვდა,
თავის თავსა შანს უგებდა
და გაფრენილს გამოუდგა
ტყეებში მახეს უგებდა.

—

შენც ხომ ასე მოგივიდა
შესაბრალო, ჩემო ძმაო:
სატრფო ხელით წაგივიდა
ღირსი ხარ, რომ ჩაექვაო.

აკაკი.

---

## ვის უძახიან ჭკვიანს?

—

ერთი მართალი, ერთი კეთილი
სად ნიხოს კაცმა რომ მოისვენოს?!
ყოველგან ჭკლოცავს ზაკვა და ცილი,
მართალმა ბინა სად აიშენოს?!
ქადაგდზე სწერენ გულის გარესა,
სიტყვაში ზრასვენ ტკბილს უგმ(ყ)სსა,
განზე უხვევენ მართალს მწარესა,
კეთილს ურტყამენ მწვირიან ფეხსა.
ზეცას მცხოვრები ეს სამართალი,
ქვეყნად მოსული, მწირობს ყარიბად;
მოუსვენარი მისი ტანტალი
არავის იწვევს შესაწყნარებად.
კაცი არ დასდევს მისსა ბინასა.
ტასტად ვინ უდგამს თავის გონებას?
არც ვინ უშენებს ნება რკინასა:
ყველა სიცრუის შეუდგს მონებას!
პირით მართლები,—ხელით სტყუიან,
ენით კეთილნი,—გულით ცრუობენ
ვინც ორპირობენ—ნელა წუიან,
გულწრფელები კი მაღლა ხუობენ!
ვის დაკარგნია ჭკუის სახელი,
ვის აქებს უნდო უგნურთა ხროვა?
ვინ არის მათში ღირსი და ქველი?!...
ვინც მძლავრობითა მოითვართოვა!
მხეცის სახელის ვის არ რცხვენია,
მარცვით სიმდიდრე შეუძენია;
მრეობის კერში თავს უსვენია,
ჩაგრვის წყურვილი ცხროდ ასჩენია;
ვის ლხინად უჩანს მოყვსის გოდება,
და შესამატად სამშობლოს რბევა,
უფროსს გასაჭირს მისს ელოდება,—
შევირჩინოვო ხდომა, შესევა;
ვინც თვით აშავებს და სხვებს მოკითხავს.
თვით იპარავს და სხვებს აზღვევინებს;
თვით მზაკვრობს, ფლიდობს და სხვებს კი კიცხავს,
თავის ცოდვის ტვირთს სხვებს აწევინებს;
ვინც ორის პირით მიდამო ღიმის,
მარჯვნით დ მარცხნით ვაჭრობს ტყუილსა;
ვინც გამვლებია სხვის გზაზე ხიმის,
და მოძმის სისხლით იგლავს წყურვილსა;
ვისაც ღალატი უწამებია
ღვთად სიმდიდრის და ამაღლებისა;
ვისაც მოყვასი უწამებია
მსხვერპლად თავისის გულის თქმებისა;
ვინც აღიარებს სვინდისს ბორკილად,
სჯულს და სამართალს—რეგვენთ სატყუვრად,
პატიოსნებას,—ჭკუის თორკილად,
ნდობას, გატანას,—სულელთ საფუვრად;
თვით კი საჭურვლად აურჩევია,
ხან უნდო ქლიბი, ხან ბასრი ცული,
მით უჩხვია და უნგრევია
მოყვსისა ყოფა, იმედი, გული;
მითი უკაფავს ცხოვრების გზები,
დაუზოგავად, გაუკითხავად;
ამით დაუდგამს ოქროს გორები,
და ზედ სეირნობს სვავებრივ ზვავად!...
არ დარჩენია არც ერთი ყინი,
არც ერთი თვისი გულის წადილი
აუსრულებლად,—არც ერთი ლხინი,
არც ერთი უღვთო, უზნო ქადილი.
მაგრამ კიდევ აქვს ერთი საზრუნი,
ერთი რამ სასო და სანატრელი:
ქვეყანა იყოს ბნელი, უგუნი.
ბრიყვი, უგონო და უსწავლელი!!...

ნ. დადიანი.

5 თებ. 1881.

მელიც ქართულის ცოდნასაც ჩემულობს. სიტყვა-სიტყვით, რასაკვირველია, არ გადაუთარგმნეს, არამედ თვით დედანის სახელი — „**Всякому зерну своя борозда**“ უთხრეს. რას მატყუილებთ, რუსულად „**зерно**“-ზეა ლაპარაკი და ქართულად კი „ფერზეო“, კარგად გადათარგმნეთო, მოითხოვა თურმე პოლიციმეისტერმა. სთარგმნეს სიტყვა-სიტყვით... ზამოვიდა— „**Цвѣтъ цвѣту—благодарность Богу**“...

— ეჰ, ეს რასა ჰგავს... არ შეიძლია, ხელს ვერ მოვაწერ განცხადებაზე, რადგანაც პიესის სათაური კარგად არ მესმისო, თქვა ბ. პოლიციმეისტერმა, მაგრამ სამი დღის შემდეგ გული მოუბრუნდა და, როგორც იქნა, მისცა თავის ნება-რთვა.

სასაცილო იქნებოდა განა, ჩემო მკითხველო, საშწუხარო რომ არ იყოს?

ახლა ვნახოთ ზემოხსენებული ბ. პოლიციმეისტრის მოქვემდებარე პოლიცია, როგორ ასრულებს თავის პირ-და-პირ მოვალეობას. არას დროს არ ყოფილა აქ ისე გახშირებული ქურდობა და ყოველ გვარი ცუდკაცობა, როგორც ეხლა არის. ღამე ერთია და დუქნის გატეხა, ქუჩაში მავალ კაცის დახვედრა და დაჭრა ან გაცარცვა კი ათი. „სოფელი ენახე უძაღლო, შიგ გაეიარე უჯოხოვო“— ეთქმისთ ახლა აქაურ შარლატანებს და ქურდებს: პირველნი დას-დასად ფაეტონებში ჩამსხდარნი, დაიარაღებულნი და ღვინო-გადაკრულნი არხეინად დაეირონობენ ქუჩა-ქუჩა (უფრო ღამით) დაუბრკოლებლად ასრულებენ თავიანთ გულის წადილს... მეორენი კი უხმაუროდ, მაგრამ ეგრეთვე დაუბრკოლებლად ხვეჭენ მათს შესაფერს ხარკს, რომელ მაღაზიიდამაც კი ისურვებენ.

მეტი დაუდევრობა შეიძლება კიდევ პოლიციის მხრით?

ამას წინედ დუქანი გაუტეხეს ერთს აქაურ ვაჭარს მ—შვილს, რომელმაც დროზედ შეიტყო უდროვო სტუმრების წვევნა, ეძება პოლიციის დარაჯები და რომ ვერავინ ნახა, პირ-და-პირ პოლიციის სამართველოში წავიდა. იქ ამ საბრალოს დაუხვდა ერთი მოხუცი პრისტავი, რომელსაც შესჩივლა თავის ამბავი და შესაფერი დახმარება სთხოვა. დახმარების და გამხნევების მაგიერ, გაშტერებულის ვაჭრის ყურებს მოესმა შემდეგი მჭევრმეტყველური სიტყვები:

„— დღეს მე არა ვარ მორიგი პრისტავი. ხომ ხედავთ ჩემს მოხუცებულობას, სად წამოვიდე ახლა, სად ვსდიო ქურდ-ავაზაკებს. მორიგს პრისტავთან წადით და ის მოგეხმარებათ.“

წელ-მოწყვეტილი ვაჭარი გამოემშვიდობა ამ მამაც პრისტავს, და მისი თანხმობით გაალევიძა ერთი დარაჯი და გასწია მორიგი პრისტავის სახლის საძებრად, რამდენიმე-ჯერ გზის დაბნევის შემდეგ, როგორც იქნა მოძებნეს მისი კეთილშობილება, მაგრამ... ა, ვაი!.. „მუცელი მტკივა ვერ გიახლებით!“ მოახსენა ბედკრულ მ—ს დარდიმანდმა მორიგმა პრისტავმა...

რაღა გაეწყობოდა იმის მეტი, რომ მ—ი გულ-მოკლული დაბრუნდა და კარზედ მიადგა ერთს კეთილ-გულიანს პრისტავს, რომელიც წამოჰყვა მას, მაგრამ გვიანღა იყო: იმ დროის განმავლობაში, რომელიც პოლიციელების მოსვლას მოუნდა გაქურდულს ადგილზედ, ქურდებს თავიანთი საქმე ექნათ და დარბაისლულად წაბრძანებულიყვნენ.

ახლა მობრძანდით, ნუ იტყვით, რომ აქ გაქურდვას რაღაც სხვა ნაირი სუნი უდის-თქო. როგორ შეერგება პოლიციის უწყებას ის 20,521 მან., რომელსაც ჩვენი ღარიბი ქალაქი იხდის მისს შესანახავად?!

ჭ.

---

# განცხადებანი

—

**თფილისის ქველ-მოქმედის საზოგადოების** ჭრა-კერვის სკოლაში მიიღებენ დასაჭრელ, დასაბლანდ და საკერავ ტანთსაცმელთ ქალებისა და ყმაწვილებისა; აგრეთვე ზომის აღებით ამზადებენ სხვა და სხვა თარგებს ბევრ გვარ ფასონისას. უკველა ზაკაზს ზომიერ ფასათ იღებიან.

მსურველთ ახალ მეთოდით ჭრაკერვის შესწავლისა შეუძლიანთ მიიღონ ამ საგანში გაკვეთილები, ცალკე დანიშნულ დროზედ იქვე სკოლაში. მთელი შეგროვილი ფული სკოლის გასამჯობისებლად მიდის. დაწვრილებით ამბავი შეიძლება შეიტყოს სკოლაში არსენალის ქუჩაზე, სახლი № 33. (3—3)

---

### ახალი სტამბა

**მოვსეს ვართანიანცისა და ამხ.**

განოვის ქუჩაზე, თ. ბებუთოვის სახლებში ამ დღეებში გაგაღე ახალი სტამბა სრული მოწყობილობით და ვიღებ ზაკაზს ყოველ ენებზე

როგორც გამოცდილი ამ საქმეში, ვასესს ვაგებ, რომ ნამდვილად და სინიდისიანათ შევასრულებ ყოველ მოთხოვნილებას. (5—2)

---

**ყველაზედ** უფრო ბევრი საქონელი კავკასიის აქეთა მხარეში **ინგლისის მაღაზიაშია**, არწრუნის გალლერეიაში: ღირს სანახავად.

**ისყიდება** საზამთრო მოსასხურავები, ტანისამოსები, მაუდები, ტრიკო, თეფშები და მურაბები. 500,000 კლიტეები, ფადნოსები და კალმები 30% უფრო იაფად, ვიდრე სადმე სხვაგან. 2ა—2

---

**თფილისის სასულიერო სემინარიის მმართებლობა აცხადებს**, რომ ამავე სემინარიის შენობაში **იძლევა ქირით სამი სარდაფი** (შოდვალი) სხვა და-სხვა ნივთების შესანახავად ანუ დასაწყობად.

ვისაც სურს ქირით აღება ზემოხსენებული სარდაფებისა, შეუძლიანთ მამართონ პირობის შესატყობრათ სემინარის ეკონომს ათი საათიდამ ვიდრე ორ საათამდე შუადღის შემდეგ. (3—3)

---

### ახალი ამბავი.

ქ. ფოთში გავაღე კახური ღვინის პადვალი, მიხეილოვსკის მაედანზედ, სურგულაძის სახლებში, სმირნოვის სახლების პირდაპირ. ღვინოს ვყიდი თფილისის მაზანდაზე. ბოთლი 30 კ.—1 მანეთამდის.

იმედი მაქვს საზოგადოება კმაყოფილი დარჩეს ჩემი. ბაღდოევი (3—3)

---

**სამშაბათს; 17 თებერვალს ქართულის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების** სასარგებლოთ, თბილისის კრუჟოკში იქნება გამართული

# ბ ა ლ ი

ქალები ვალდებულნი არ არიან გულ-ამოჭრილი კაბით იყვნენ. კავალერები კი უნდა მობრძანდნენ ან მუნდირით, ან ფრაკით და ან ნაციონალური ტანისამოსით. (6—3)

---

ინგლისის მაღაზიაში



ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ.

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სჩოტკები თავის ტკიპილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ. (150—36)

---

ისყიდება ყოველ-გვარი **თუჯისა და სპილენძის ნივთები გადასადნობად** — წმ. გიორგის ეკკლესიასთან, მდივანის სახლებში, კახურ ღვინის სარდაფში. (25—13)

---

### ლონდონის მაღაზია

ერევნის მოედანზე № 2, კომმერციულ ბანკის ქვეშ, დაარსებულია წმინდა კიახტის და ჩინეთის პირველი მოწევის ჩაის გასაყიდველად და ასაუკეთესო ინგლისის საქონლებისა, მაგალითად: თოფების, რევოლვერებისა, ბოქლომთა, ტაბაკების (ფოდნოსი) კრავატების, დანა-ჩანგლების, საჩაიე, ჭიქების, შოკოლადის, კაკაოს, გემრიელი სუკრის ერბო, სასურნებელის, საპონის, ცხვირ-სახოცების, შიოთკი წინდების, ჩულქების, კარანდაშების, რკინის კალმების და სხვ... (100—31)

---

# ინგლისის მაღაზია

*Maison de confiance*

| | | | |
|---|---|---|---|
| ვადარეთ წვენი ჩაი | —1 მ. 10 კ. | მოსკოვის ჩაის | —1 მ. 40 კ. |
| — — | —1—20 | — | —1—60 |
| — — | —1—40 | — | —1—80 |
| — — | —1—60 | — | —2— „ |
| — — | —1—80 | — | —2—50 |
| საუკეთესო | —2— „ | — | —3— „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცისა და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი—სულ ყველაფერი 25. დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში,

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—92)

---

**ლონდონის მაღაზია** კომერციული ბანკის ქვეშ დაარსებულია ნამდვილი ჩაის გასასყიდლათ პირველი მოკრეფილისა და საუკეთესო ინგლისური საქონლისა: მაგალითებრ: თოფებისა, რევოლვერებისა, კლიტეებისა, ჭურჭლებისა, კრავატებისა, დანებისა, კოვზებისა, ჩაინიკებისა, შოკოლადისა, კაკაოსი, დუხებისა, საპონისა, შრო კებისა, ცხვირ-სახოცისა, ქაღალდისა, კარანდაშებისა, კალმებისა, უნაგრებისა, სუკრისისა (გემრიელი კლემბევისი ზეთისა) და სხვ. სააგენტო მაკინტოშის მოსასხურავებს გასასყიდლად კანფეტების და ბატკერის და კამპ. მურაბისა, აგრეთვე ჩულქებისა და წინდების ნოტინგამიდამ. ნამდვილი ჯავანას სიგარები. (100—21)

---

**მიუხედავათ** იმისა, რომ ბაჟი მოიმატა, საქონელი გაიყიდება ისევ იმ ფასად, როგორც წინეთ იყო: კონგო-ჩაი 1 მ. 5 კ. და 1 მ. 10 კ.; საუკეთესო მინინგი 1 მ. 20 კ. და 1 მ. 40 კ.; მშვენიერი კაისაუ 1 მ. 60 კ. და 1 მ. 80 კ. ძრიელ კარგი ჩაი 2 მ. გირვანქა უქაღალდოთ.

ინგლისური რევოლვერები 4 მ.—40 მანეთამდინ და თოფები 20—200 მანეთამდინ. **ინგლისის მაღაზიაში**. სააგენტო ბარნსბის უნაგრების გასასყიდლათ, ჯონსის კლიტეებისა, შოკოლადისა და ეკსტრაქტისა კაკაო ფრაის, რომელთაც დაიმსახურეს პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ ოქროს მენდალი. გირვანქა არომატიული ჩაისა ლამაზი ჩაინიკით 1 მ. 65 კ. და სულ საუკეთესო 2 მ. 30 კ. ვაჭრები მოიგებენ, თუ იყიდიან ბლომათ ინგლისის მაღაზიაში. მთელი კოსტიუმი 15 მ. ხვილების კონფეტები 60 კ. ერთი გირვანქა.

100—20

Дозволено цензурою. Тифлисъ 7 Февраля 1881 г. Типографія Меликова გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი